თავისუფალი საქართველო

№26

10 - 16 ნოემბერი

1995 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

არჩევნებზე, რომლისაც არავის სჯერდა და რომელმაც მრავალი რამ გააცხადა

ეს არის არჩევნების შედეგების გაყალბების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი: ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნური გაზრდა ან შემცირება, როცა უბანში ან ოლქში ვერ გროვდება კილებელი კვოტა - 50 %. პირველი იპულაციის საშუალებაა ე.წ. დამატები, ანუ იმ მოქალაქეთა სიები, რომლებიც სხვა ადგილებიდან ჩამოვიდნენ ოებით. ამგვარი ყალბი სახელები, ეროების შემთხვევაში, ათასობით შელება მოგროვდეს მილიონიანი ქალაქის შტაბით. ამიტომაც დამფიქრებელია, დესაც დამატებით სიებში ამომრჩეველთა ძალზე დიდი რაოდენობაა.

მაგალითად, ვაკის N8 უბანში ხმების

ნიშანდობლივია ისიც, რომ რიგ უბნებში ასევე არ იყო გამოკრული ამომრჩეველთა რაოდენობა. ბევრგან საარჩევნო ოლქებში გადაცემული შესაბამისი სიები არ ყოფილა დამოწმებული საუბნო კომისიების თავმჯდომარეების მიერ.

მაგალითად, მთაწმინდის N9 (თავმჯდომარე ოსეფაშვილი) და N5 საარჩევნო უბნებში არ ჰქონდათ გამოკრული შესაბამისი უბნის ამომრჩეველთა საერთო სიები.

ვაკის N12 საარჩევნო უბანში ხშირად იქნებოდა გაუგებრობა დამატებით სიებთან დაკავშირებით, რაც ზოგადად დამახასიათებელია სხვა უბნებისთვისაც.

ანიპულაციები ამომრჩეველთა რაოდენობით

თვლის დროს თავმჯდომარე გია კარაძემ დამატებით სიებში თავდაპირველად დააფიქსირა 266 ამომრჩევლის მოწილეობა, ხოლო შემდე (ალბათ, როცა არწმუნდა, რომ კვოტა არის) - 160 ოქალაქე.

ამის დასტურია კიდევ ერთი შემხვევა: მოქალაქე ელგუჯა ოთარის ძე ველიძემ ერთდროულად ხმა მისცა ორ ბგილას: დიდუბის ოლქის N1 საარჩევნო უბანში (ტატელაშვილის ქ. 8) ამატებითი სიით, სადაც მისი ნომერია 13 (ჩაწერის მიხედვით, აქ ეკუთვნოდა მის მიცემა) და N125 უბანში (134-ე ბუსული სკოლა), ასევე დამატებითი სიით. თანაც მიწერის ბარათი არ ჰქონია. ფლანშნაკვია, რომ მსგავსი შემთხვევების ფიქსირება განსაკუთრებით რთულია.

ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნური შემცირება, როგორც წესი, წინასწარაა განსაზღვრული და ხორციელდება ოოლქო ან საუბნო სიებიდან ამომრჩეველთა, ზოგჯერ ქუჩებისა და მთელი უბნების გამორიცხვით.

მეტად საგულისხმოა, რომ საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს არავინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩათვლით, სადაც, მათივე თქმით, გვითხრეს საორიენტაციო ციფრი - 3 200 000. თავად არ იციან, თუ ალავენ - ძნელი სათქმელია. არადა, ეს ინფორმაცია არამცთუ საიდუმლოა, არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ პირველადი ფაქტორია არჩევნების ჩატარება - არჩატარების დასადგენად და მას უნდა ფლობდეს ფართო საზოგადოება.

დაფიქსირდა ბარნოვის ქუჩის მაცხოვრებელთა საერთო სიებიდან გამორჩენის მრავალი ფაქტი. ამ უბანში 3 400 ამომრჩეველიდან გამოცხადდა 2 039.

ვაკის N2 უბანში (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი) მეთვალყურეებს არ უთხრეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა. რამდენიმე ქუჩა გამორჩენილი იყო სიიდან და მისი მაცხოვრებლები ჩიოდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ.

ნაძალადევის ოლქში - ჩაპაევისა და გრუზინსკის ქუჩები, ხორნაბუჯის 42-ე კორპუსი - მთლიანად გამორჩენილი იყო სიებიდან.

ამ საკითხთან უშუალო კავშირშია გაცემული ბიულეტენების რაოდენობის აღნუსხვაც. ამდენად, დამფიქრებელია ასეთი ფაქტებიც: მთაწმინდის N10 საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ ვერ შეძლო პასუხი გაეცა მეთვალყურეთა კითხვაზე, რამდენი ბიულეტენია შემოსული. ეს ასევე არ იცოდა საბურთალოს N21 საუბნო კომისიის თავმჯდომარემაც. ვაკის N17 უბანში (წყნეთი) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (2480) 39%-მა, დამატებით სიებში შეყვანილი იყო 75 მოქალაქე. უბანს გადაეცა ორივე სახის 2 895 ბიულეტენი, კენჭისყრისას კი გამოყენებული აღმოჩნდა საპარლამენტო არჩევნების 1 007, ხოლო პრეზიდენტოო არჩევნების - 1 042 ბიულეტენი, 313 - დაკლდათ.

საბურთალოს N30 საარჩევნო უბანში ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა უბნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე მეტი საპრეზიდენტო ბიულეტენი.

რა მოხდა აბაშაში?

სიყალბე, რომელიც ამხელს არჩევნების რეალურ სახეს

6 ნოემბერს, დილის 5 საათისთვის, აბაშის საარჩევნო ოლქის კომისიის თავმჯდომარის, კუკური ლაზარეშვილის მიერ გამომახებული იქნა შეაერადებული რაზმი, რათა ოთახებიდან გაეყვანათ ათი ადგილობრივი დამკვირვებელი, რომლებიც მანამდე ესწრებოდნენ ხმების დათვლას.

ამ ფაქტის გამო შეშფოთებულმა მოსახლეობამ თავშეყრა დაიწყო საარჩევნო კომისიის შენობის წინ. დღის 14.00 საათისთვის, ანუ იმ დროისთვის, როდესაც იქ მოვიდნენ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის დამკვირვებლები, არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა - სულ 23 000 ამომრჩეველი.

დაახლოებით 15 წუთში კომისიამ გამოაცხადა, რომ მაჟორიტარული სიებით, უმნიშვნელო სხვაობით (5,376 - 4,484) გავიდა დამოუკიდებელი კანდიდატი.

N 24 საუბნო კომისიის რამდენიმე წევრმა, შეშფოთებულმა ამ რეზულტატებით, სთხოვა დამკვირვებლებს თვალყური ედევნებინათ საპრეზიდენტო ბიულეტენების დათვლის პროცედურაზე, რათა არ მომხდარიყო შედეგების გაყალბება. კომისიის წევრებმა დამკვირვებლებს გაანეს შემაჯამებელი ოქმების დედნები. ამ ოქმების შედარებამ საოლქო კომისიის ოქმებთან გამოამჟღავნა მეტად მნიშვნელოვანი გაყალბება.

აბაშის N1 საარჩევნო ოლქში, ოქმის თანახმად, 632 ხმა ეკუთვნოდა შევარდნაძეს, 1090 ხმა - პატიაშვილს. სოფელ ნესაკოვოს N17 საარჩევნო უბანში შედეგები ასეთი იყო: 189 - შევარდნაძეს, 442 - პატიაშვილს.

[illegible] ოქმებთან ამ [illegible] ნების შედარებისას გამოირკვა, რომ ორივე შემთხვევაში შედეგები შესაცვლელი იყო შევარდნაძის სასარგებლოდ - ხმების რაოდენობა პირიქით [illegible] დაფიქსირებული. ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრმა ორივე [illegible] გადაიღო ფოტოასლები.

როდესაც დამკვირვებ[illegible] კომისიის ოფიციალური ხელმოწერების ყურადღება მიექცეოთ ოქმ[illegible] ორის არსებული შეუსაბამობისთვის [illegible] ნიშნოს, რომ ამ საუბარს [illegible] ცენტრალური საარჩევნ[illegible] მომადგენელი), ერთ-ერთმ[illegible] დასტაცა ოქმს და, რაც [illegible] ურია, შეეცადა მის გადამალვას.

7 ნოემ[illegible]

[illegible]

შედგენილი წისასწარი [illegible]

განცხადება

1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შესახებ

ჩვენს მიერ არაერთგზის იქნა განცხადებული, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი არ ცნობს კანონიერად ხელისუფლებას, რომელიც 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოვიდა ქვეყნის სათავეში.

ჩვენ ისიც მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია ძალდატანებით ახორციელებს სახელმწიფოსთვის დამღუპველ პოლიტიკას, რის შედეგად საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა დამოუკიდებლობა, მოხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი შეიქმნა.

ჩვეულებრივ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა. მაგრამ, არ შეიძლება არჩევნები მივიჩნიოთ კანონიერად, როცა მასში არ მონაწილეობს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი, როცა იგი ვერ ტარდება ქვეყნის ყველა რეგიონში უკლებლივ, როცა მას ბოიკოტს უცხადებს პოლიტიკურ პარტიათა დიდი ნაწილი, როცა იგი ტარდება ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფონზე, პოლიტიკური რეპრესიებისა და ოპოზიციური აზრის სრული უგულებელყოფის ატმოსფეროში. ამგვარი არჩევნები, ჩვენის ღრმა რწმენით, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს, მასში მონაწილეობა [illegible] სხვა არაფერია, თუ არა საქართველოში არსებული [illegible] ტატორული რეჟიმის გახანგრძლივების ხელშეწყობა.

გამოვიქვამთ ჩვენს მხარდაჭერასა და სოლიდარობას იმ პოლიტიკურ პარტიათა, საზოგადოებათა და [illegible] ზაციათა მიმართ, რომლებიც ბოიკოტს უცხადებ[illegible] ნოემბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო [illegible] და მტკიცედ განაგრძობენ უშეღავათო ბრძოლ[illegible] თველოში კანონიერებისა და დემოკრატიზ[illegible] ენად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის წევრ[illegible]

მედეა თუმანიშვილ[illegible]

ასოციაცია "საფრანგეთი-საქართველო"
სახელით, საქართველოს [illegible]
წარმომადგენელი საფრანგ[illegible]
ოთარ ზურაბიშვ[illegible]

სამხედრო-საარჩევნო რექიემი

დუშეთის N1 საარჩევნო უბანში, დილის 8 საათზე, საუბნო კომისიის თავმჯდომარემ აბესალომ იორდანიშვილმა სამხედრო ნაწილში არჩევნების ჩატარებლად, კომისიის დანარჩენ წევრებთან შეუთანხმებლად, სამხედრო პირებს შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე გადასცა საარჩევნო ბიულეტენები, როგორც თავად აცხადებს, 200-200 ცალი და კომისიის ორი წევრიც გააყოლა. მაგრამ აღნიშნულ წევრებს - პაატა ჯავახიშვილსა და ვალერიან ზანდარაშვილს - კომისიის წევრები მთელი დღის განმავლობაში ხედავდნენ საარჩევნო უბანში, ხოლო ჯავახიშვილი თავად აცხადებს, რომ არ ყოფილა სამხედრო ნაწილში. 16.00 საათზე საარჩევნო ყუთი კომისიაში მოიტანა ორმა სამხედრო პირმა - ნაწილის უფროსმა ნიკოლეიშვილმა და გვარდიის თანამშრომელმა თენგიზ ღარიბაშვილმა. ამდენად, დუშეთის სამხედრო ნაწილში არჩევნები ჩატარდა კანონის უხეში დარღვევით, კომისიის წევრთა დაუსწრებლად. ამ ფაქტს ადასტურებენ როგორც N1 უბნის კომისიის წევრები (ქ. ყვანია, ზ. ძიძიშვილი, თ. საღირაშვილი, მ. კახიშვილი (სულ 8 პირი), ისე **დუშეთის N28 საოლქო** საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლაშვილი და კომისიის წევრები - ზ. წითლაური, ფ. მირზაშვილი და სხვ.

რეპორტაჟი საარჩევნო უბნებიდან

5 ნოემბერს "თავისუფალი საქართველოს" კორესპონდენტები და 60 დამკვირვებელი აბრუვებდნენ ინფორმაციას და მეთვალყურეობას აწარმოებდნენ არჩევნების მიმდინარეობაზე საქართველოს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებსა და უბნებში. შედეგები მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია.

მოქალაქეთა კავშირი აგრძელებს აგიტაციას

მთაწმინდის N1 საარჩევნო ოლქის N4 საარჩევნო უბანში (ლეონიძის ქ. 13, მსახიობის სახლის შენობა) მასიურად ირღვეოდა ხმის ფარულად მიცემის წესი, რასაც ამართლებდნენ კაბინების სიმცირით. შენობის შუშებზე შიგნიდან გაკრული იყო საგიტაციო პლაკატები. ასევე არ იყო ჩამოხსნილი პლაკატები N2 საარჩევნო უბანში.

ერთ ამომრჩეველს ჰქონდა სამი ამომრჩევლის ბიულეტენი. მეთვალყურეებმა დროზე შეამჩნიეს და შეაჩერეს მოქალაქე, რომელმაც მათ განუცხადა, რომ ბიულეტენები მისცა კომისიის წევრმა ხაირა ეპიტაშვილმა. ამ უკანასკნელმა კი თავი იმით იმართლა, რომ ამის ნება დართო კომისიის თავმჯდომარემ.

ამავე უბანში ედპ-ს წარმომადგენელმა ყუთში ჩაყარა რამდენიმე ბიულეტენი, რაც შემჩნეულ იქნა მეთვალყურეთა მიერ, რის გამოც მან ვერ მოასწრო სამი ბიულეტენის (2 მაჟორიტარისა და 1 პროპორციულის) ჩაყრა.

N4 უბნიდან ავადმყოფი ამომრჩევლებისთვის გაიტანეს 46 ბიულეტენი. რომელთაგან 12 დაბრუნდა საარჩევნო უბანში, ხოლო შემდეგ გაქრა. შედგენილ იქნა აქტი, რომელსაც ხელს აწერენ დამკვირვებლები და კომისიის წევრები - ქ. დარცმელია, ვ. ფირცხელიანი, ბ. ვაშაკიძე, ლ ლურწკაია და სხვები.

მთაწმინდის N7 საარჩევნო უბანში დილიდანვე შეიმჩნეოდა მოქალაქეთა კავშირის წევრთა და მხარდამჭერთა აქტიურობა. ისინი, საარჩევნო კანონის დარღვევით, შეუფარავად ეწეოდნენ აგიტაციას შევარდნაძის სასარგებლოდ. ედუარდ შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი ლილი კალანდარიშვილი ჯიხურებამდე აცილებდა ამომრჩევლებს, რაზედაც რამდენიმე დამკვირვებლის შენიშვნა დაიმსახურა, მაგრამ მაინც არ იშლიდა თავისას. მას ხელში ეჭირა ედუარდ შევარდნაძის წიგნი გარეკანზე მისი სურათით. მოხუცებსა და ინვალიდებზე საგანგებოდ იყენენ მიჩენილები მოქალაქეთა კავშირის აქტივისტები და ზემოქმედებას ახდენდნენ მათზე, მიუწოდებდნენ ხმა მიეცათ მათი *კავშირისთვის.

კომისიის წევრი კორეინევსკი, მეთვალყურეების შენიშვნების მიუხედავად, ხმამაღლა ეწეოდა პროპაგანდას მოქალაქეთა კავშირის სასარგებლოდ, ზემოქმედებას ახდენდა ამომრჩევლებზე ჯიხურებში შესვლით.

მოქალაქეთა კავშირის მხარდამჭერნი აგრესიულად რეაგირებდნენ მეთვალყურეთა შენიშვნებზე, ემუქრებოდნენ მათ, იწევდნენ საცემრად. მათ შორის "ქვეშის საათის" წამყვანი ჩაჩუა და ლილი კალანდარიშვილი. ამომრჩეველმა ნახი ბოკუჩავამ, რომელიც თავის ქალიშვილთან ერთად აფრიალებდა შევარდნაძისა და მამუკა არეშიძის სურათებს, მეთვალყურის შენიშვნაზე მისკენ გაიწია და თვალების ამოთხრით დაემუქრა.

ამ უბანში დაფიქსირებულია არასრულწლოვანი დავით შიოლაშვილის (დბ. 01.12.77) მონაწილეობა არჩევნებში. ასევე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ? სცა ხმა სხვა საარჩევნო ოლქს მიმაგრებულმა მოქალაქე სოფოკლეს (დბ. 1932, მცხ. დიდ დიღომში, 1-ლი შიკრორაიონი, კორპ. 27).

ბიულეტენები ლაბადის ჯიბიდან

ვაკის N 2 საარჩევნო ოლქში ასევე არ იყო მოხსნილი საარჩევნო პლაკატები (NN 17, 37, 38), ირღვეოდა ხმის ფარულად მიცემის პროცედურა. ზოგან, მაგალითად, **N12 საარჩევნო უბანში** (სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი), სულ ორი ან სამი ჯიხური იყო და ამის გამო შეიქმნა რიგები.

N8 უბანში ორი საარჩევნო ყუთიდან ერთი არ იყო დალუქული.

N17 უბანში (წყნეთი) არ იყო გაკრული პარტიების სიები, სამაგიეროდ გაკრული ჰქონდათ მოქალაქეთა კავშირის საგიტაციო პლაკატები. მეთვალყურეებმა სიებში აღმოაჩინეს, რომ 6 პიროვნებას სამჯერ და ოთხჯერ ჰქონდა გავლილი რეგისტრაცია.

ვაკის N19 საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ, როდესაც მაგიდაზე გადმოიყარა საარჩევნო ბიულეტენები, საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენო აბაშიძე შეეცადა მათში შეერია ლაბადაში გადამალული ბიულეტენები. კომისიის წევრებმა ეს შენიშნეს და ხელიდან გამოსტაცეს ყალბი ქაღალდები. აღმოჩნდა, რომ 35 ცალიდან, საპრეზიდენტო ბიულეტენებში ყველგან შემოხაზული იყო მე-5-ე (ანუ შევარდნაძე), მაჟორიტარულში: მე-19-ე, ხოლო პარტიულ სიებში: 16 ცალზე - 45-ე (სმკ), ხოლო 18 ცალზე - 26-ე (ედპ), მხოლოდ ერთი იყო ცარიელი. ბიულეტენები დაილუქა და გაიგზავნა საოლქო კომისიაში.

"მოქალაქეთა" მოკრძალებული საუზმე საარჩევნო კომისიებისთვის

ისნის რაიონის N 5 უბანს საღამოს ექვსი საათისთვის ეწვია ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე (ყოფილი რაიკომის მდივანი) მანანა გოჩალეიშვილი და როდესაც შეიტყო შედეგები - სიაში მყოფი 2 614 ამომრჩევლიდან უბანში გამოცხადებული იყო 800-მდე - განურისხდა კომისიის წევრებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ იგი თავიანთ უდანაშაულობაში. დასტურად კომისიის წევრებმა აჩვენეს 100-ზე მეტი საარჩევნო ბარათი, რომელიც გამოწერილი იყო გარდაცვლილ მოქალაქეებზე. მ. გოჩალეიშვილმა უყოყმანოდ გასცა ბრძანება, შემოეარათ სახლები და მოეყვანათ ამომრჩევლები, რასაც წინ აღუდგნენ მეთვალყურეები.

ამავე ოლქის N 6 (მე-5-ე გიმნაზია, ფილატოვის ქ.N 16) უბანში მეთვალყურე ნ. ქემოკლიძემ დაფიქსირა მეთვალყურეების -ჯანაშვილისა და ბუხიას მიერ ერთი ამომრჩევლისგან ორი ბიულეტენის ჩაშვებისა და მოქალაქის მიერ სხვისი პასპორტით ხმის მეორედ მიცემის მცდელობა.

ისნის N 17 უბანში (87-ე სკოლა, ქეთევან წამებულის ქ.N 90ა) ყუთის გახსნისას ერთ-ერთმა მეთვალყურემ დაინახა, რომ კომისიის წევრმა ჯიბიდან ამოიღო ბიულეტენები და შეურია ქაღალდების გროვას. კომისიის თავმჯდომარემ არ ჩათვალა საჭიროდ ამ ფაქტის გახმაურება.

შუადღისას **ისნის N 5 საარჩევნო ოლქის** უბნებში მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები კომისიის წევრებისა და მეთვალყურეებისთვის არიგებდნენ საუზმეს. როდესაც მიუთითეთ ამ აქციის უკანონობაზე, **N17 უბნის** მეთვალყურე ქ. მაისურაძემ გაიკვირვა, რა არის ცუდი ამაშიო.

N 14 უბანში თავმჯდომარე მარინა კოკელაშვილმა დილიდან შიდა რადიოსაზით წამოიწყო აგიტაცია შევარდნაძისა და მოქალაქეთა კავშირის სასარგებლოდ, რამაც გამოიწვია კომისიის წევრთა და მეთვალყურეთა აღშფოთება და იგი გაათავისუფლეს თავმჯდომარეობიდან.

ვის აქვს კომისიის ბეჭედი?

ჩუღურეთის N 7 საარჩევნო ოლქის N 2 საარჩევნო უბანში (30-ე სკოლა) ხმის მისაცემი ყუთის გვერდით იჯდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თეიმურაზ ანდრიაძის ნდობით აღჭურვილი პირი და თან ხელთ ეჭირა საუბნო კომისიის ბეჭედი, რომლითაც აღინიშნება ბიულეტენები და ოქმები. კანონის თანახმად, ეს წარმოადგენს უხეშ დარღვევას.

ჩუღურეთის N 4 საარჩევნო უბანში ამომრჩეველი ციცინო მამულაშვილი სხვის მაგივრადაც აძლევდა ხმას. მაჟორიტარულის ბიულეტენების ჩაყრის შემდეგ იგი შეამჩნიეს და დანარჩენის ჩაყრა ვერ მოასწრო. ამ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ აქტს, ადგილობრივ მეთვალყურეებთან ერთად, ხელი მოაწერა საერთაშორისო დამკვირვებელმა ფინეთიდან აილა ნინიგა კეპომ.

ხელმოსაწერ ჟურნალებს "უფრთხილდებიან"

საბურთალოს N 12 საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა ხელმოსაწერი ჟურნალები გაიტანეს ხმის მისაცემი დარბაზიდან, რამაც კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების (მათ შორის "თავისუფალი საქართველოდან" მანანა მელაძე) პროტესტი გამოიწვია. კომისიის თავმჯდომარემ უარი განაცხადა ხელი მოაწერა ამ ინციდენტთან დაკავშირებით შედგენილ აქტზე. 6 ნოემბერს დამკვირვებელმა მიაკითხა საოლქო კომისიას საჩივრით, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა, ხოლო ცსკ-ში დამკვირვებელი იმ დღეს საერთოდ არ შეუშვეს.

უცხოელი დამკვირვებლების დიდი ნაწილი მთელი დღის განმავლობაში **დასეირნობდა სასტუმრო "მეტეხის"** მიდამოებში და ტკბებოდა თბილისური პეიზაჟებით. საღამოს მათგან ორმა - **კანადის პარლამენტის წევრებმა** ჯიმ ჯორდანმა **და** პიტერ ტიმეიერმა - **შემოიარა სასტუმროს** მეზობლად **N 16 უბანში. მათ აცნობეს კომისიასა** და **მეთვალყურეებს, რომ კანადაში უკვე თოვლია** და **განაგრძეს საღამოს მოციონი.**

შევარდნაძის პორტრეტი ინტერიერში

საერთაშორისო დამკვირვებლები ნორვეგიიდან დაესწრნენ არჩევნების მსვლელობას **მცხეთის N 27 საარჩევნო ოლქის ნიბბისის N 8 საარჩევნო** უბანში, სადაც მათ წარმოუდგათ შემდეგი სურათი:

საარჩევნო უბნის თავმჯდომარის, შოთა ხუტაშვილის კაბინეტთან იდგა ამომრჩეველთა რიგი ბიულეტენებით ხელში. თავმჯდომარე იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან, ხოლო მის პირისპირ მჯდომი ამომრჩეველი მისი მეთვალყურეობის ქვეშ ავსებდა ბიულეტენს. დანარჩენები მოთმინებით ელოდნენ თავიანთ რიგს.

დამკვირვებელთა დანხვაზე ბნი ხუტაშვილი შეშფოთდა, ამომრჩეველი სასწრაფოდ გაისტუმრა ოთახიდან და პირმღიმარი მიეგება სტუმრებს. შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნები, კომისიის თავმჯდომარემ რახით უპასუხა, რომ არჩევნები მიმდინარეობს ბრწყინვალედ, ამომრჩეველთა არნახული აქტიურობით გამოირჩევა და რომ უკლებლივ ყველა ხმას აძლევს ედუარდ შევარდნაძეს. მან მიანიშნა მის კაბინეტში კედელზე დაკიდებულ შევარდნაძის პორტრეტზე, რომელზეც პრეზიდენტობის კანდიდატი იყო აღბეჭდილი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობის ხანაში. ხუტაშვილმა განაცხადა, რომ მან წინასწარ დაიჭირა თადარიგი, ვინაიდან არჩევნების შედეგები მასში ეჭვს არ იწვევს.

დამკვირვებელთა შეკითხვაზე, თუ რამდენი ადგილობრივი დამკვირვებელი ესწრება არჩევნებს, ხუტაშვილმა უპასუხა, რომ რეგისტრირებულია ხუთი დამკვირვებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ადგილზე არ არიან, სადღაც გაეიდ-გამოვიდნენ.

შეამჩნია რა სტუმრებს გაკვირვება, თავმჯდომარემ მოიხმო იქვე მდგომი პიროვნება, რომელთანაც ხანმოკლე მოთათბირების შემდეგ განაცხადა - "ადგილობრივ დამკვირვებელთა რიცხვია შვიდი და მათ მოსვლას წუთი-წუთზე ველოდებითო". მრჩეველთან ხელმეორე მოთათბირების შემდეგ, ადგილობრივ დამკვირვებელთა რიცხვი თოთხმეტამდე გაიზარდა და ერთ-ერთ მათგანად სტუმრებს სწორედ ხსენებული "მრჩეველი" გააცნო.

არჩევნების დღეს ხომ აკრძალულია პროპაგანდა...

კასპის N 30 საარჩევნო ოლქის **სოფელ ოელიანის N 32 საარჩევნო** უბანში საერთაშორისო დამკვირვებლებს შეეგება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ასანიშვილი. გაეცნო თუ არა დამკვირვებლებს, მან იქვე წარუდგინა სტუმრებს სოფლის გამგებელი და შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი. თავმჯდომარისთვის დამკვირვებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხებს გამგებელი და შევარდნაძის რწმუნებული იძლეოდნენ, ასლანიშვილი კი მხოლოდ თვალებში შესცქეროდა მათ და თავის ენერგიული ქნევით აძლევდა დასტურს.

საარჩევნო უბნის ოთახის კედლებზე "პლაკატები ისე მაგრადაა დაწებებული, რომ ვერ ავახიეთო".

უეცრად, იქვე მდგომი ახალგაზრდა მივარდა შევარდნაძის პლაკატს და ხელის მარდი მოძრაობით ჩამოხია იგი. დამკვირვებელთა შეკითხვაზე, თუ რატომ ჩამოხია მან შევარდნაძის პორტრეტი, მღელვარებისგან პირზე ოფლგადმდინარე ახალგაზრდამ შესაშური სიზუსტით გაიმეორა სტუმრების შეგონება: "არჩევნების დღეს ხომ აკრძალულია პროპაგანდა".

ქართლის ცხოვრების (საარჩევნო) ქრონიკები

5 ნოემბერს "თავისუფალი საქართველოს" კორესპონდენტებმა 60 დამკვირვებელი აბრუვებდნენ ინფორმაციას და მეთვალყურეობას აწარმოებდნენ არჩევნების მიმდინარეობაზე ქართლის სხვადასხვა საარჩევნო ოლქებსა და უბნებში. შედეგები მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია.

"კაი რამეები" უცხოელი დამკვირვებლებისთვის

დოესის N 33 საარჩევნო უბანში ყველაფერი უკვე მომზადებული იყო საზღვარგარეთელი მეთვალყურეების დასახვედრად: საარჩევნო ყუთის გარშემო ჭირისუფლებივით ჩამომსხდარი კომისიის წევრები და ადგილობრივი დამკვირვებლები დაძაბული მდუმარებით შეხედნენ შემოსულ სტუმრებს.

სანამ კომისიის თავმჯდომარე ნელი ბაიდაური პატაკს აბარებდა ერთ-ერთს რუსულ ენაზე მოსაუბრე მეორე დამკვირვებელი გამოელაპარაკა ქალიშვილს, რომელმაც თავი ადგილობრივ დამკვირვებლად წარადგინა. სტუმრის შეკითხვაზე, თუ ვის მიერ არიან ისინი გამოგზავნილი - პარტიების, თუ ადგილობრივი ადმინისტრაციის, - ქალიშვილმა შეუფარავი კეკლუცობით მიუგო, რომ ყველანი ადგილობრივი ხელისუფლების მითითებით ესწრებიან არჩევნებს.

ქ-ნ ნელი ბაიდაურს, რომელიც შორიახლოდან შესცქეროდა გოგონასა და მეთვალყურის საუბარს, გულმა ცუდი უგრძნო და მავედრებელი ხმით აღმოხდა: "გოგო, კაი რამეები უთხარი რა, შენ ჭირიმე, კაი რამეები..."

ცსკ დამკვირვებლებისა და პრესის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ მისცა აკრედიტაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების ოთხ დამკვირვებელს, ვითომ იმ მოტივით, რომ ისინი საქართველოს მოქალაქენი არიან. სრულიად ნათელია, რომ კომისიას არ აწყობდა თავად ეს პიროვნებები, რომლებიც, ერთის მხრივ, კარგად იცნობენ ადგილობრივ "დემოკრატიულ" წესებს და ადგილად არ მოტყუვდებოდნენ დარღვევათა დაფიქსირებისას, მეორეს მხრივ კი - საერთაშორისო სტატუსით ისარგებლებდნენ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ცსკ-ს თავმჯდომარის მოადგილემ გია ზესაშვილმა ერთ-ერთი მათგანი, ვინც ადრე მოასწრო რეგისტრაციის გავლა, კერძოდ, ზვიად ბაბეური 5 ნოემბერს 17.00 საათზე არ დაუშვა კომისიაში, თან უთხრა - "შენ აქ ყოფნა არ გეკუთვნისო".

ნიშანდობლივია, რომ ასევე არ იქნა დაშვებული ცენტრალურ კომისიაში გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" მიერ წარგზავნილი და რეგისტრირებული დამკვირვებელი ზურაბ წულაია. როგორც შევიტყვეთ, არჩევნების დღეს ცსკ-ს კარი საერთოდ დაიარაზა პრესის წარმომადგენლებისთვის.

ბუნებრივია, რომ ზემდგომ კომისიას, სადაც თავს იყრის მთელი ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, არ სურდა მეოთხე ხელისუფლების ჭირვეული მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობა ? ასე უფრო ხელსაბსნელი იქნებოდა.

როგორც ჩანს, ეს მაგალითი მისაბაძად გახდა საარჩევნო უბნებისთვისაც. გელდანის **N9 საარჩევნო უბანში** (ახმეტელის სახელობის თეატრი) "თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელს ასმათ ბაკურაძეს პოლიციის თანამშრომელმა, რომელმაც თავისი ვინაობა არ დასახელა, ჩამოართვა გაზეთის რედაქტორის მიერ დამოწმებული წარდგინება და დაჭერით დაემუქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებზე ციხეში

... ჩვენთან პოლიტპატიმრები არ არიან, ჩვენ მხოლოდ ზვიადისტები გვყავს...

არჩევნების დღეს საერთაშორისო დამკვირვებლები (ფინეთის ჰელსინკის ჯგუფიდან აილა ნინმა კეპო და ISHR-დან ლალი ლომაძე) ეწვივნენ თბილისის ორ-ოთახიანი ციხესა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, მაგრამ ისინი არ დაუშვეს არც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა იზოლატორში და არც საავადმყოფოში, ვინაიდან აქ ჯერ არ იყვნენ მზად არჩევნებისთვის. პატიმრებთან შესახვედრად კი ორივე ადგილას მოითხოვეს დემურ მიქაძისა და გივი ყვარელაშვილის ნებართვა.

დამკვირვებლებმა მიაკითხეს შსს სასჯელთა აღმასრულებელი სამმართველოს უფროსს გივი ყვარელაშვილს, რომელმაც დამკვირვებლები საკმაოდ ცივად მიიღო. მას აშკარად არ ესიამოვნა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით ეწვია საქართველოს მოქალაქე, რომელიც კარგად იცნობდა არსებული პენიტენციარული სისტემის წეს-ჩვეულებებს.

როდესაც იგი გაღიზიანებული ესაუბრებოდა ქ-ნ ლალი ლომაძეს, სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა ISHR-ის წევრი ლია ბერუაშვილი და სამმართველოს უფროსს თავისი მოწმობა წარუდგინა. ყვარელაშვილმა მას, ყოველად უმიზეზოდ, ყვირილი დაუწყო და უთხრა: "თქვენ აქ შემოსვლის უფლება არა გაქვთ, მე სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავ თქვენზე. თქვენ ზეწოლას ახდენთ დამკვირვებლებზე". ქნმა ლიამ დაიმოწმა სტუმრის თარჯიმანი, რომ ოთახში შემოსვლის შემდეგ მას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ინგლისურად, რამაც ყვარელაშვილი კიდევ უფრო გაახელა.

დამკვირვებლებს უარი უთხრეს ციხეში შეშვებაზე მანამ, სანამ არ იქნებოდა მოწყობილი საარჩევნო ოთახი, და გამოისტუმრეს. დამკვირვებლები კვლავ ეწვივნენ ციხეს მოგვიანებით. აქ უკვე ორ სართულზე მოწყობილი იყო საარჩევნო ჯიხურები და ყუთები. არჩევნებმა ექსცესების გარეშე ჩაიარა. ციხის ერთ-ერთმა თანამშრომელმა საერთაშორისო დამკვირვებლის კითხვაზე, არიან, თუ არა ციხეში პოლიტპატიმრები, უპასუხა: "არა, ჩვენთან პოლიტპატიმრები არ არიან, ჩვენ მხოლოდ ზვიადისტები გვყავს".

ტელევიზია და პროკურატურა არღვევენ კანონს

4 ნოემბერს, არჩევნების წინადღეს, საქართველოს ტელევიზიამ გაავრცელა რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ 29 აგვისტოს ტერაქტის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, სახელმწიფოს სათავეში უნდა მოსულიყო ხსნის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყო ჯუმბერ პატიაშვილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შვიდმა წევრმა, მათგან თინა შანშიაშვილმა, ივეტა კილურაძემ, ირაკლი გოგორიშვილმა და სხვ., წერილობითი პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს საკითხის განხილვა ცსკ-ს სხდომაზე. პროკურატურის პრესცენტრისა და საქართველოს ტელევიზიის მოქმედება მათ მიერ შეფასებულია როგორც საარჩევნო უფლების შესახებ კანონის უხეში დარღვევა და საარჩევნო პროცესში ჩარევა.

იმავე დღეს საქართველოს ტელევიზიის პროგრამა "აუდიენციაში", წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ითქვა, რომ პროკურატურის მიერ გაცემულია სანქცია ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების შესახებ. ჯაბა იოსელიანმა ცსკ-სა და რესპუბლიკის პროკურატურაში შეიტანა პროტესტი, სადაც ნათქვამია, რომ ეს ინფორმაცია ცილისმწამებლურია და არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციასა და კანონს არჩევნების შესახებ. იგი თვლის, რომ ეს გაკეთდა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მიზნით.

5 ნოემბერს, არჩევნების მიმდინარეობისას, საქართველოს ტელევიზიის მეორე არხმა და ტელეკომპანია "კავკასიამ" გადმოსცეს ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც აშკარა პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა. ეს ფაქტი ასევე მიჩნეულია საარჩევნო კანონის უხეშ დარღვევად.

გაზეთ "ახალი თაობისა" და საგენტო BGI-ს ინფორმაციებზე დაყრდნობით

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მხარი დაუჭირეს შევარდნაძეს

საბურთალოს N39 უბანში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 200 ავადმყოფიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 120-ს. მათ, ყველამ უკლებლივ, ხმა მისცეს ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ... სასტიკი უარი განაცხადეს საარჩევნო სიებში თავიანთი ხელმოწერების დაფიქსირებაზე. მედპერსონალის ახსნა-განმარტებას პაციენტების გაცხარება მოჰყვა და კონფლიქტმა კინაღამ სახიფათო სახე შეიძინა.

არჩევნების ჩატარების ოქმი და დოკუმენტაცია საბურთალოს საარჩევნო ოლქში (თავმჯდომარე ჩხაიძე) მოიტანა თავად საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, რომელიც ამასთან საუბნო კომისიის თავმჯდომარეც ყოფილა. მან განაცხადა, რომ მისმა პაციენტებმა მხარი დაუჭირეს შევარდნაძეს, მაგრამ სიებზე ხელს არ აწერენ და ითხოვდა ამ ხმების ჩათვლას. კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების, მათ შორის "თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლის მოთხოვნით, ეს ბიულეტენები გაუქმდა.

საქართველოს ორსახოვანი იანუსი არჩევნების წინაშე

29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სხეულის დახიანება მანქანაში ჩადებული ნაღმის აფეთქების შედეგად. ამ ქმედების ავტორი გახლდათ. შევარდნაძის უშიშროების სამსახურის უფროსი იგორ გიორგაძე. ბატონი გიორგაძე მაშინვე მოსკოვს გადაფრინდა, სადაც მან გამოაქვეყნა სახელმწიფოს მეთაურის მამხილებელი მასალები. ყოფილი უშიშროების შეფი ბრალს დებს შევარდნაძეს კორუფციაში.

საქართველოში არ უკვირთ შიდა დაპირისპირებები, ხალხს აქ კარგად ახსოვს შევარდნაძის მოღვაწეობის კომუნისტური პერიოდი. მსგავსად რომაული ღმერთის იანუსისა, მას ორი სახე აქვს: ერთი სანდომიანი ღიმილით იმზირება დასავლეთისკენ, მეორე კი მკაცრად და ულმობლად უყურებს საკუთარ ხალხს.

კვირას ქართველი ამომრჩევლები მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა აირჩიონ ქვეყნის პარლამენტი და პრეზიდენტი. სამი წლის წინ შევარდნაძე აირჩიეს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ხმათა 96%-ით. სამწუხაროდ, მის გარდა მაშინ არავინ იყრიდა კენჭს. დასავლეთი, რომელსაც ჯერაც ვერ დაეღწევია თავი შევარდნაძის ჰიპნოზური ხიბლისთვის, რომელიც გლასნოსტისა და პერესტროიკის პერიოდიდან მომდინარეობს, მზად იყო მიეღო BBC-ის მიერ წამოყენებული დებულება, რომ თითქოს მაშინ იმდენად დიდი იყო შევარდნაძის პოპულარობა, რომ ვერავინ გაბედა მის გვერდით თავისი კანდიდატურის წამოყენება. თუმცა საქართველომ, ალბათ, ყველაზე უკეთ უწყოდა ამის შესახებ.

ზოგადი მიმოხილვა

დასავლელ დიპლომატთა ჩუმი მოლოდინი, რომ შევარდნაძის დაბრუნებას 1992 წელს მოჰყვებოდა საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესება, არ გამართლდა. ქვეყანაში სამწლიანი არეულობა დამყარდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას (რომელიც, სხვათა შორის, არჩეულ იქნა ხუთ სხვა კანდიდატზე დამავალებელი გამარჯვების შედეგად) დამხობას მოჰყვა სასტიკი ძალადობა, ომი, სამოქალაქო ომი. შეიარაღებულ ბანდათა თარეში გახდა მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური დაცემისა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ასობით და ათასობით ადამიანის უცხოეთში გადახვწა.

უკანასკნელ ხანს შეინიშნება ერთგვარი მცდელობა წესრიგის დამყარებისა. აფეთქების შემდეგ შევარდნაძის მომხრეებმა განახორციელეს ე.წ. წმენდის ოპერაცია ოპოზიციის მიმართ.

მართლაც, შევარდნაძე, სტალინის მსგავსად, ახერხებს შეცდომაში შეიყვანოს დასავლეთის პოლიტიკოსები, რომლებიც თვალს ხუჭავენ მის საშინაო პოლიტიკაზე, ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან ტკბილმოუბარ პოლიტიკოსს.

